პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 139 (13831)

პარასკევი, 16 ივნისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვაჩაჩაზე

□ საიუბილეო წელს, — აცნობებს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. კვინტარაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მამალაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. დოლიძემ, — ჩოხატაურელმა მშრომელებმა პირველი წარმატება მოიპოვეს. 12 ივნისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.100 ცენტნერი ხორცი, რაც წლიური გეგმის 101,9 პროცენტს შეადგენს. სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულია 102 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა — 102,6 პროცენტით. ასევე შესრულდა სახელმწიფოსათვის დაფნის ფოთლის მიყიდვის წლიური გეგმა.

□ საქართველოს კპ კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქერქაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. მუხიგულაშვილმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ საიუბილეო წელს კასპელებმა პირველი წარმატებები მოიპოვეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.103 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 2.963 ცენტნერისა, 11.741 ცენტნერი რძე ნაცვლად 11.600 ცენტნერისა, 386.100 ცალი კვერცხი ნაცვლად 300 ათასისა, სახელმწიფოსათვის ტყავეღლეულის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა განაღდებულია 116,6 პროცენტით, ტყავქურქეულისა — 117,8 პროცენტით.

□ ხულოს რაიონმა, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. დავითაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ბერიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. იაკობიძემ, — 31 მაისს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა გაანაღდა 112 პროცენტით, კვერცხისა — 105 პროცენტით, ტყავეღლეულისა — 113 პროცენტით, თამბაქოს რეგეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებს რძის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ხუთი თვის დავალება ყველა ასორტიმენტის მიხედვით ვადაზე ოცი დღით ადრე გაანაღდა და 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

გაფაფუჭობესოთ მუშაობა

პარტიაში ახალგაზრდა კომუნისტების მიღებისა და აღზრდისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სკკპ XXIII ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის გაუმჯობესებას. ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩანს ზრუნვა პარტიული რიგების სიწმინდისათვის, იმისათვის, რომ თვითეული კომუნისტი პარტიაში შესვლის პირველი დღიდანვე პირნათლად და ღირსეულად ატარებდეს თავის მაღალ წოდებას. პარტიის წევრებისადმი, მისი ახალი შევსებისადმი მოთხოვნების გაძლიერება გამოწვეულია იმით, რომ კიდევ უფრო მაღლდება პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საბჭოთა საზოგადოებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი მორიგი პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ რიგებში ახალგაზრდა კომუნისტების მიღებისა და აღზრდისათვის პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენება.

საბჭოების ქვეყანაში მომხდარი ყველა რევოლუციური გარდაქმნა და საგმირო საქმენი, აღნიშნულია მოხსენებაში, მშრომელთა შეგნებაში განუყოფლად უკავშირდება კომუნისტური პარტიის გმირულ საქმიანობას, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში თვითონ იკისრა მთელი პასუხისმგებლობა სამშობლოს ბედისათვის და მას შემდეგ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მტკიცედ მიუძღოდა და მიუძღვის ჩვენს ხალხს ერთადერთი სწორი კურსით, ახალი, გაუკვალავი ისტორიული გზით. მილიონობით ადამიანი მადლიერებითა და სიყვარულით ეკიდება კომუნისტურ პარტიას. ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი — ასე უწოდა მას სიამაყით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა.

საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან იუბილეს ლენინური პარტია ეგებება მძლავრი და შეკავშირებული, ახალი საზოგადოების მშენებლობის ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილებით შეიარაღებული. კომუნისტური პარტიის ძალა ის არის, რომ იგი მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სისხლი და ხორცია, რომ იგი მუდამ გრძნობს მასების ერთსულოვან მხარდაჭერას.

პარტიისათვის ძვირფასია მშრომელთა ნდობა და იგი ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს ეს ნდობა. მას არა აქვს სხვა ინტერესი, გარდა ხალხის ინტერესებისა. ლენინური პარტიის ავტორიტეტი დიდია არა მარტო იმიტომ, რომ პარტია თავისი პოლიტიკითა და პრაქტიკული საქმიანობით გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს, არამედ იმიტომაც, რომ კომუნისტები საბჭოთა საზოგადოების მოწინავე ადამიანები არიან. საბჭოთა ხალხს სამართლიანად შეუძლია დამაყოს მილიონობით კომუნისტით, რომლებიც მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნას, ნიჭს, მთელ თავიანთ გამოცდილებას ახმარენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, ჩვენს დიად რევოლუციურ საქმეს.

დიდი ოქტომბრის საიუბილეო, ორმოცდაერთეული წელს საბჭოთა კავშირის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დააჩქარონ ჩვენი ქვეყნის წინსვლა პარტიის მიერ დასახული გზით.

მოხსენებაში გაშუქებულია საქართველოს მშრომელთა წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში, რომლებიც მიღწეულია სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ბეჯითად შესრულების მეოხებით.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იმ საკითხს, რომ ზუსტად ვიცავდეთ ლენინურ ნორმებს, მოთხოვნებს სკკპ წევრობის შესახებ. სკკპ XXIII ყრილობამ კიდევ უფრო გაამაღლა პარტიის ავტორიტეტი ხალხის ფართო მასებში, გაადიდა მისი მიმზიდველი ძალა. ადგილებიდან მიღებული მრავალი ცნობა მოწმობს, თუ რამდენად იზრდება ახალგაზრდა მოწინავე მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის მისწრაფება უფრო მტკიცედ დაუკავშირონ თავიანთი ბედი კომუნისტურ პარტიას. ეს იქიდან ჩანს, რომ ამ ბოლო დროს გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციების ზრდა.

საქართველოს კომპარტიაში მისი XXIII ყრილობისათვის 258.419 კომუნისტი იყო. XXII ყრილობის შემდეგ, ესე იგი ორ წელიწადში, მის რიგებს 19.828 კაცი შეემატა. ამა წლის 1 აპრილისათვის საქართველოს კომპარტიაში 267.892 კომუნისტი იყო. ყურადღების ღირსია მონაცემები პარტიის კანდიდატებად მიღებულთა შემადგენლობის შესახებ საქმიანობის მიხედვით. 1966 წელს პარტიის კანდიდატებად მიღებულია 8.908 კაცი; აქედან მუშა — 37,5 პროცენტი, კოლმეურნე — 26,9, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, აგრონომი, ექიმი, მასწავლებელი და სხვა სპეციალისტი — 27,7, მოსამსახურე, მოსწავლე და სხვები — 7,8 პროცენტი.

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ახალი შევსების ძირითად ნაწილს (64,4 პროცენტი) მუშები და კოლმეურნეები შეადგენენ.

პარტიაში შემსვლელთა შორის მუშათა ხვედრითი წონის გადიდება კანონზომიერი მოვლენაა, რადგან მუშათა კლასი, საბჭოთა საზოგადოების ეს ყველაზე მოწინავე, ორგანიზებული ძალა, კვლავ ახორციელებს თავის ხელმძღვანელ როლს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდშიც.

პარტიის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ლენინური კომკავშირი. ორი უკანასკნელი წლის მანძილზე პარტიის კანდიდატებად მიღებულია 7.629 კომკავშირელი, ანუ ამ პერიოდში სკკპ რიგებში შესულთა 38,4 პროცენტი.

რესპუბლიკის მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება მკაფიოდ აისახა საქართველოს კომპარტიის შემადგენლობაშიც. კომუნისტთა ორ მესამედს აქვს საშუალო, დაუმთავრებელი უმაღლესი ან უმაღლესი განათლება.

საქართველოს კომპარტიის რიგებში 75-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლებია. ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ეროვნული შემადგენლობა განასახიერებს მის სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად ერთიანობასა და ძმურ მეგობრობას ამკვიდრებს.

მოხსენებაში მოყვანილი იყო საინტერესო მონაცემები პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების ასაკის შესახებ. კომუნისტთა დიდი უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაბადა და გაიზარდა.

პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა კომუნისტთა ძირითადი მასა მუშაობდეს კომუნისტური მშენებლობის წამყვან უბნებზე, უწინარეს ყოვლისა მატერიალური წარმოების სფეროში, სადაც ახლა დასაქმებულია პარტიის წევრთა 69,6 პროცენტი. 1966 წლის მანძილზე, 1965 წელთან შედარებით, უშუალოდ წარმოებაში დასაქმებული კომუნისტების რიცხვი რესპუბლიკაში 4.426 კაცით გადიდდა.

ჩვენი პარტიის ძალა, ნათქვამია მოხსენებაში, მუდამ იყო და არის მისი რიგების ერთიანობა, მონოლითურობა, შეკავშირება. XXIII ყრილობამ დაგვისახა ამოცანა კვლავაც განვამტკიცოთ პარტია, სრულვყოთ მისი სამნაო ცხოვრება, განუხრელად დავიცვათ ლენინური დებულებანი სკკპ წევრობის შესახებ. წესდებაში შეტანილი ცვლილებების, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებზე ყრილობის ყველა გადაწყვეტილების აზრი ის არის, რომ უფრო აამაღლონ პარტიის წევრის წოდება, გაადიდონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა თავიანთი პარტორგანიზაციებისა და მთლიანად პარტიის საქმიანობისათვის, კიდევ უფრო განავითარონ შინაპარტიული დემოკრატია და განამტკიცონ დისციპლინა, უზრუნველყონ პარტიული ორგანიზაციების ინიციატივისა და ბრძოლისუნარიანობის ზრდა.

თანამედროვე ეტაპზე უაღრესად იზრდება პარტიის თვითეული წევრის როლი და პასუხისმგებლობა. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ პარტიული რიგების ზრდაზე, ამ საქმეში მთავარი და განმსაზღვრელია პარტიის რიგების შევსება კომუნიზმის საქმისათვის ნამდვილი მებრძოლებით, უწინარეს ყოვლისა მუშებით. აქედან კი გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ შემდგომ გავაძლიეროთ მომთხოვნელობა სკკპ რიგებში შემსვლელთადმი რათა პარტიაში ახალი წევრების მიღება უზრუნველყოფდეს პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტისა და ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ზრდას.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტორგანიზაციაში სკკპ რიგებში ყველა მიღებულთა შორის მუშათა ხვედრითმა წონამ შეადგინა 76,3 პროცენტი. ყველა ახლად მიღებული წარმოების მოწინავე, პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ადამიანია, რომლებიც ბევრ ძალას ახმარენ საზოგადოებრივ მუშაობას. მოხსენებაში დასახელებული არიან ახალგაზრდა კომუნისტები, წარმოების ნოვატორები.

მოყვანილია სხვა მაგალითებიც, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორად აღიქვეს XXIII ყრილობის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ სკკპ რიგებში პარტიის წესდების ზუსტი შესაბამისობით იღებდნენ მოწინავე და შეგნებულ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტურ მშენებლობაში, რათა პარტიის სოციალურ შემადგენლობაში მუშებს კვლავაც ეკავოთ წამყვანი მდგომარეობა.

ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ორგანიზაციის ზრდის რეგულირება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღების სტატისტიკური მონაცემების მექანიკური შეჯამება თუ ორგანიზაციული ხასიათის რაიმე ხელოვნური ღონისძიება როდია. ეს არის ადამიანთა ყოველდღიური აღზრდა. პარტიაში მიღებულთა შემადგენლობის მიხედვით შეიძლება უშეცდომოდ დავადგინოთ, თუ როგორია საწარმოს შინაპარტიული, საზოგადოებრივი ცხოვრება, სწორად ესმით თუ არა თავიანთი ამოცანები პარტიულ ორგანიზაციებს. ორგანიზაციის პოლიტიკურ სიმწიფეს, მის კავშირს მასებთან ყველაზე მკაფიოდ და დამაჯერებლად ცხადყოფენ ახალი, მის მიერ აღზრდილი, კომუნიზმის თავდადებული მშენებლები, რომლებიც სკკპ რიგებში შედიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ხარკოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ (1965 წელი) ხაზგასმული იყო, რომ პარტიაში მიღებისათვის მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ წარმოების კონკრეტული პირობები და თავისებურებანი. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მოთხოვნაა. როცა პარტიაში მიღებისას ივიწყებენ ორგანიზაციის სპეციფიკას, ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობა სწორად ვერ წარმოგვიდგენდეს მოცემული კოლექტივის სახეს.

თვითეული პარტიული ორგანიზაციის გარშემო დარაზმული უნდა იყოს ფართო უპარტიო აქტივი. ამ აქტივთან უნდა მუშაობდეს ყველა კომუნისტი. სწორედ ასე მუშაობენ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს პარტიულ ორგანიზაციაში. ამიტომ საკვლევით კანონზომიერია, რომ აქ 1965-1966 წლებში პარტიის კანდიდატად მიღებულია 25

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)



ზემომაჩხაანელთა თაოსნობის პასუხად

მოსავალი ის არის, რაც ბელელშია!

კომბაინები შეუფერხებლად იმუშავებენ

ზემომაჩხაანელმა კოლმეურნეებმა მეტად სასარგებლო და პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს. მოსავალი ის არის, რაც ბელელშია. დიახაც რომ ასე! მექანიზატორების, მინდვრის ყოველი მშრომელის საპატიო ვალია უქმად არ დაკარგონ არცერთი წუთი, დაუღლავად იბრძოლონ იმისათვის, რომ მინდვრად არ დარჩეს აუღებელი არცერთი თავთავი, აღებული მარცვალი უკლებლივ დაბინაონ ბელელში.

ამ საქმეში დიდი შთავალობა აკისრიათ აგრეთვე რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მუშაკებს, მექანიზატორებს. გულდასმით გავეცანით ზემომაჩხაანელთა ღია წერილს. ამ საკითხზე აღრეც ვიმსჯელეთ და შევადგინეთ კონკრეტული სამოქმედო გეგმა. რესპუბლიკაში კომბაინების რემონტის გეგმა 104,8 პროცენტით დროულად შესრულდა. ამაში საპატიო წვლილი ჩვენს მექანიზატორებსაც მიუძღვით. მიღებული გადამჭრელი ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკის მემინდვრეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეფერხება არ ექნებათ სათადარიგო ნაწილებითა და საწვავ-საცხებით უზრუნველყოფის საქმეში.

„საქსოფლტექნიკის“ ყველა რაიონულ განყოფილებას აქვს მოძრავი სახელოსნოები. მოძრავი სახელოსნოების მექანიზატორები მოსავლის აღების პერიოდში სადღეღამისო მუშაობაზე არიან გადაყვანილნი და დაზიანებულ ტრაქტორს, კომბაინს თუ მარცვალსაწმენდ მანქანას ადგილზე დროულად შეაკეთებენ, რითაც ხელს შეუწყობენ მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღების საქმეს.

მოსავლის აღებისთანავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მიმდინარეობს ნამჯის შეგროვება და დაზვინვა, ნაწვერალზე ხვნა-თესვა. ჩვენი მექანიზატორები ამ საქმეშიც დიდ დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ცნობილია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობათა ერთ ნაწილს არა აქვს კომბაინები. ცხადია, ასეთ კოლმეურნეობებში მოსავალს ჩვენი მექანიზატორები აიღებენ. საამისოდ 45 კომბაინი გამოვყავით. შედგენილი გეგმის მიხედვით ყოველმა კომბაინერმა იცის რომელ კოლმეურნეობაში როდის უნდა დაიწყოს მოსავლის აღება. კომბაინერთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა თვითეულმა 12 საათიანი დღეში მოსავალი აიღოს 180 ჰექტარზე. სულ ჩვენი მექანიზატორები საზოგადოებრივ მეურნეობათა მინდვრებში კუნელის მოსავალს აიღებენ 8.000 ჰექტარზე.

„საქსოფლტექნიკის“ მუშაკებისა და მექანიზატორების ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ახალ-ახალი წარმატებებით შეეგებონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ვ. სეხნიაშვილი — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დ. სარიშვილი — რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე, პ. ჯაში — რემონტისა და საწარმოო ტექნიკური სამმართველოს უფროსი, ვ. ყაზახაშვილი — მექანიზებული სამუშაოებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის სამმართველოს უფროსი, ე. რჩეულიშვილი — სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობის სამმართველოს უფროსი, მ. მახარაძე — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ვაჭრობის სამმართველოს უფროსი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლე ვიეტ ლიონგი. ორი ქვეყნის მთავრობათა შეთანხმების შესაბამისად დელეგაცია მოლაპარაკებას გამართავს და ხელს მოაწერს შეთანხმებას საბჭოთა კავშირში ვიეტნამელი სპეციალისტებისა და მუშების სწავლებისა და სტაჟირების შესახებ.

14 ივნისს დელეგაცია ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტს და ესაუბრა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ე. პეტრუშევს. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა მალის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

მოსკოვი, 15 ივნისი. (საკდესი). დღეს მოსკოვში ჩამოვიდა მალის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარტია სუდანის კავშირის ეროვნული პოლიტბიუროს წევრი, იუსტიციის მინისტრი მადეირა კეიტა. (საკდესი).

თვითმოქმედი ხელოვნების ფესტივალი

15 ივნისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან აკადემიურ თეატრში გაიხსნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკური ფესტივალი. სახალხო ტალანტების დათვალიერებაში მონაწილეობს მხატვრული თვითმოქმედების 93 კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 12 ათასი მონაწილე. თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კოლექტივები და ანდიგადუალური შემსრულებლები— რაიონული, საქალაქო და საოლქო დათვალიერებებში გამარჯვებულნი.

შეიქმნა ჟიური, რომელსაც მეთაურობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი შ. მშველიძე. თვითმოქმედი მსახიობების ოსტატობას შეაფასებენ სრულიად საკავშირო ჟიურის წევრებიც.

რესპუბლიკურ ფესტივალში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად თვითმოქმედი ხელოვნების სრულიად საკავშირო დათვალიერებაში, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

პირველ დღეს თბილისელებს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს გორის, ხაშურის, ადიგენის, წალკის, ვანის, წალენჯიხის, ამბროლაურის, ხობის რაიონების, აგრეთვე ქალაქების გორისა და ჭიათურის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

რესპუბლიკური ფესტივალის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები **ვ. ს. ძოწენიძე, შ. დ. კიკნაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ა. კვაჭაძე** და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ე. ა. სალუქვაძე.** (საკდესი).

ფესტივალის ლაურეატი

მხატვრული თვითმოქმედების სრულიად საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გახდა მესამე ქართული სახალხო თეატრი. ამჯერად საპატიო წოდება მოიპოვა ბოლნისის რაიონის სახალხო თეატრმა, რომელმაც მოსკოვის კრემლის თეატრში უჩვენა პ. კაკაბაძის პიესა „კოლმეურნის ქორწინება“.

დიდი წარმატება ხვდათ წილად თვითმოქმედ მსახიობებს, რომლებიც დაჯილდოვეს სრულიად საკავშირო ფესტივალის სამახსოვრო ნიშნებით. (საკდესი).

სასარგებლო თანამშრომლობა

მოსკოვი, 15 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და იაპონიის სსრ კავშირთან და ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის საზოგადოებამ დღეს ხელი მოაწერეს ოქმს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ოქმით გათვალისწინებულია დელეგაციების გაცვლა მეცნიერებისა და სამრეწველო წარმოების სხვადასხვა დარგში. მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ მოაწყობენ სპეციალიზებულ გამოფენებსა და თათბირებს ურთიერთსაინტერესო პრობლემებზე.

ორი ორგანიზაციის ამ შეთანხმებამ დიდი როლი უნდა შეასრულოს იმ ამოცანათა განხორციელებაში, რომლებიც საბჭოთა კავშირ-იაპონიის ეკონომიურმა კომიტეტმა დასახა. დასაბამი მეცა ახალ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირ-იაპონიის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიური კონტაქტების განვითარებისათვის.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო

იაპონია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური კომიტეტის დელეგაცია

15 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იაპონიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობს საბჭოთა კავშირ-იაპონიის მეორე ეკონომიურ თათბირში. ეს თათბირი მოსკოვში მიმდინარეობს.

იაპონია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური კომიტეტის დელეგაციის მეთაურმა, „ფუძი სეიტეცუს“ მეტალურგიული კომპანიის პრეზიდენტმა სიგეო ნაგანომ ა. ნ. კოსიგინს გადასცა იაპონიის პრემიერ-მინისტრის ე. სატოს წერილი.

ა. ნ. კოსიგინსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა საუბარი საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ვაჭრობის, ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე. (საკდესი).

სურათზეა ოთხი მოწინავე მუშაქალი — თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მკერავები. მომდინარე საიუბილეო წელს ისინი სკკპ წევრობის კანდიდატებად მიიღეს. სამი მათგანი წარმატებით ათავსებს მუშაობას სწავლასთან. მაშო შუკაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, ელზა ლაგაზიძე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეხუთე კურსზე სწავლობს, ულფეთ აბდულაევა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტია, ხოლო ელისო ყაჭეიშვილი უკვე ათი წელიწადია მკერავად მუშაობს ფაბრიკაში. ყველა ჩამოთვლილნი კომუნისტური შრომის დამკვრელები არიან. მათი პროდუქცია ყოველთვის მხოლოდ საუკეთესო ხარისხისაა. მარცხნიდან მარჯვნივ — მ. შუკაძე, ე. ყაჭეიშვილი, ე. ლაგაზიძე და უ. აბდულაევა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გავაუმჯობესოთ მუშაობა პარტიაში ახალგაზრდა კომუნისტების მიღებისა და აღზრდისათვის

(გაგრძელება)

კაცი, ამასთან ოცია წამყვანი პროფესიების მუშა, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ხოლო 5 — ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

აღინიშნა, რომ ზოგიერთი პარტორგანიზაცია აუურადღებას არ უთმობს პარტიაში კოლმეურნეთა მიღებას. მაგალითად, 1966 წელს პარტიის კანდიდატებად მიღებულთა შორის სამტრედიის რაიონულ პარტორგანიზაციაში კოლმეურნეები შეადგენენ 25 პროცენტს, გაგრისა — 8,6 პროცენტს. ზოგიერთი საკოლმეურნეო და პირველადი პარტორგანიზაცია არ იზრდება და მცირერიცხოვანია. ისიხი, ბუნებრივია, სუსტ გავლენას ახდენენ კოლმეურნეობის სკქმეებზე.

გამოცდილება მოწმობს, რომ იზრდება ის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები, რომლებშიც კომუნისტები უნარიანად არიან განაწილებული წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, სადაც ისინი შრომის ნიმუშებს უჩვენებენ, ზრუნავენ საზოგადოებრივი ძეურნეობისათვის.

პარტია, ვ. ი. ლენინი, აღნიშნულია შემდეგ მოხსენებაში, გვასწავლიან, რომ რევოლუციური, მარქსისტული პარტიის წევრობას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ინდივიდუალური მიღება, პარტიაში თვითეული შემსვლელის პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების ყოველმხრივ შემოწმება.

მოხსენებაში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ცალკეული პირველადი პარტორგანიზაციები დაუკვირვებლობას იჩენენ. არღვევენ იმ მოთხოვნებს, რომ პარტიაში მისაღებად მკაცრად, ინდივიდუალური წესით შერჩეულ იქნან საუკეთესოთაგან საუკეთესონი. აღინიშნა, რომ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს რეკომენდაციების ხარისხს და გაძლიერდეს რეკომენდაციის მიმცემთა პასუხისმგებლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებისათვის მუშაობა მოითხოვს ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და შეუნელებელ ყურადღებას ყველა პარტიული ორგანოსა და პირველ რიგში პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების მხრივ.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის საკითხს.

კომუნისტის ჩამოყალიბება, როგორც ცნობილია, პარტიაში მიღებით როდი მთავრდება, არამედ მხოლოდ იწყება. ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდა პარტიის რიგების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია.

ჩვენს რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში ახლა სკკპ 32.500 წევრია, რომლებსაც აქვთ სამ წლამდე სტაჟი, და სკკპ წევრობის 9.815 კანდიდატია. მათ პარტორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღება სჭირდებათ. პარტიაში ახლადმიღებულნი ყოველთვის უნდა იყონ პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. საჭიროა კარგად მოვიფიქროთ და ყოველმხრივ ავწონ-დავწონოთ ყველა ის დავალება, რომლებსაც ვაძლევთ ახალგაზრდა კომუნისტებს, საჭირო დახმარებას უნდა ვუწევდეთ მათ ამ დავალებათა შესრულებაში, ვახორციელებდეთ სისტემატურ კონტროლს ამისადმი.

მოხსენებაში მოცემულია ფაქტები, მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უფრო ზრუნავენ ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის. ყურადღება მიექცა იმას, რომ ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის მთავარი სამუალება მათი ჩაბმა აქტიურ პარტიულ მუშაობაში. აქაც, ისევე როგორც პარტიაში მიღების საკითხებში, გადამწყვეტი როლი ეკუთვნით პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და მათს ძირეულ რგოლებს — საამქრო ორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებს. სწორედ ისინი უკაფავენ ადამიანს გზას პარტიისაკენ, უწინარეს ყოვლისა სწორედ აქ გადიან კომუნისტები ლენინური პარტიულობის სკოლას, ყალიბდებიან როგორც მასების ხელმძღვანელები, სწავლობენ ყოველთვის და ყველაფერში იყონ მოწინავენი.

ოქტომბრის 50 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით, ნათქვამი იყო შემდეგ მოხსენებაში, უჩვეულოდ გაიზარდა კომუნისტთა და ყველა მშრომელთა ინტერესი პარტიისა და ხალხის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლისა და გამარჯვების გმირული ისტორიისადმი. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ ეს ინტერესი, კიდევ უფრო გააქტიურონ მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდას პარტიისა და ხალხის რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებზე.

ახალგაზრდა კომუნისტთა სწავლისა და აღზრდის თვითეული ნაბიჯი უნდა დავუკავშიროთ კომუნისტურ მშენებლობაში მათს მონაწილეობას, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ერთად შრომით შეიძლება გახდე ნამდვილი კომუნისტი. ახლა, როცა მთელი ხალხი დიდი აღმავლობით შრომობს საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად, თვითეულ კომუნისტს მუშაობაში მოეთხოვება კონკრეტულობა და მიზანდასახულობა, საქმის კარგი ცოდნა. იგი უკეთ უნდა იყენებდეს მანქანას, რომელზეც მუშაობს, იყენებდეს შრომის საუკეთესო მოწინავე მეთოდებს, რათა უშვებდეს უფრო მაღალხარისხოვან და იაფ პროდუქციას, შემოქმედებითად ეკიდებოდეს ყოველ საქმეს, მტკიცედ იცავდეს ყოველივე ახალს, მოწინავეს, შეურიგებლად ეკიდებოდეს ყოველივე დრომოჭმულს, მომძველებულს, რაც კი აფერხებს ჩვენს წინსვლას.

მოხსენებაში დასახულია ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ამოცანები. ყველა პარტიული კომიტეტის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა არა მარტო განუწყვეტლივ ადევნებდეს თვალს იმას, თუ როგორ ზრდიან პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდა კომუნისტებს, როგორ მუშაობენ მათთან, არამედ ქმედით და პრაქტიკულ დახმარებასაც უწევდეს მათ ამ საქმეში.

პარტიის წევრობა დიდად საპატიოა, აღნიშნულია დასასრულ მოხსენებაში. მაგრამ ეს დიდი პატივი კომუნისტისადმი საზოგადოების პატივისცემისა და დაფასების გარეგნული ნიშნებით კი არ განისაზღვრება, არამედ იმით გამოიხატება, რომ პარტიის წევრი თავდადებით ემსახურება ხალხს, ბოლომდე ერთგულია პარტიის საქმისა, კომუნიზმის საქმისა.

მოხსენების განხილვის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა თავისი რიგების შევსებას. ახლა, როცა დასახულია ახალი ამოცანები, სკკპ XXIII ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ კიდევ უფრო დიდი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ პარტიის პირად შემადგენლობას.

პარტიული რიგების სიწმინდისათვის, კომუნისტთა თვისებრივი შემადგენლობისა და აღზრდისათვის ზრუნვა, აღინიშნა პლენუმზე, უწინარეს ყოვლისა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმეა. ისინი დაუცხრომლად უნდა სრულყოფდნენ მუშობას პარტიაში ახალგაზრდა კომუნისტების მიღებისა და აღზრდისათვის.

— სკკპ რიგებში მიღება, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია, — თქვა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. ლ. ველაშვილმა.** დიდ დახმარებას გვიწევს პარტიაში მიღების შესახებ განცხადებებისა და კომუნისტების პერსონალური საქმეთა განმხილველი შტატგარეშე კომისია, რომელიც რაიკომში შეიქმნა. კარგად არის დაყენებული პარტიის ახალი წევრების მიღება სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობაში, სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში", სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკასა და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ჩვენ მტკიცედ ვიცავთ ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს, რათა უზრუნველყოთ პარტიისათვის საჭირო თვისებრივი შემადგენლობა.

ბევრი ახალგაზრდა კომუნისტი ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოს ასრულებს. რაიონის 893 კომკავშირული ორგანიზაციიდან, 24 ორგანიზაციის მდივნებად არჩეული არიან ახალგაზრდა კომუნისტები, 95 შვიდი ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების შემადგენლობაში. პარტიის ბევრი ახალგაზრდა წევრი არჩეულია რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დეპუტატად.

საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა **ხ. ნ. ალანიამ** ილაპარაკა რაიონის მშრომელთა წარმატებებზე, აღნიშნა, რომ ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდა კომუნისტებს, მათ შორის მეჩაიეებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ს. აგრბას, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს დ. ხუფორიას. ისინი ყოველწლიურად ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის 2-2,5 ნორმას. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეთამბაქოეებმა, კომუნისტებმა მ. დბარმა, დ. სარიანმა, ნ. ჩაბამ, ლ. კონჯარიამ. მეცხოველეთა შორის შუქურები არიან კომუნისტები გ. კიკილაძე, ხ. ცუშბა, ვ. ბაზბა და სხვები.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციას უკანასკნელ ორ წელიწადში 160 კაცი შეემატა. 1966 წელს სკკპ წევრობის კანდიდატებად მიღებულთა საერთო რიცხვში 63 პროცენტს მუშები და კოლმეურნეები შეადგენდნენ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ზრუნავენ იმისათვის, რომ პარტიაში მიღებულთა შორის მეტი იყონ ქალები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წარმოებასა და საზოგადოებრივ მუშაობაში. ამ საკითხში ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული, მაგრამ ერთგვარი გაუმჯობესება მაინც იგრძნობა. 1965 წელს პარტიაში მიღებულთა 16 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, 1966 წელს კი ეს პროცენტი რამდენადმე გაიზარდა. ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ამ მიმართულებით.

კომუნისტურ მშენებლობაში პარტიის თანაშემწის — კომკავშირული ორგანიზაციების ავტორიტეტისა და როლის ყველაზე დიდი აღიარება, თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ე. ჩერქეზიამ,** — ახალგაზრდობის ფართოდ შესვლა სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში, რაც გამოხატავს ახალგაზრდობის მისწრაფებას არა მარტო იდეურად, არამედ ორგანიზაციულადაც დაუკავშიროს თავისი ცხოვრება კომკავშირს, პარტიას. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენი ორგანიზაცია, ხაზი გაუსვა ამხ. ჩერქეზიამ, თითქმის 100 ათასი კაცით გაიზარდა. სასიხარულოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 6.800 ახალგაზრდა კომუნისტი აქტიურად მონაწილეობს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. ეს შეადგენს სრულიად საკავშირო ალკკ წევრთა საერთო რიცხვის 1,6 პროცენტს. მარშან პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებად აირჩიეს სკკპ 1.301 წევრი, ანუ 243-ით მეტი, ვიდრე წინა საანგარიშო პერიოდში.

იდეურად მტკიცე ახალგაზრდობის აღზრდა ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. ჩვენში, თქვა შემდეგ ამხ. ჩერქეზიამ, არის იდეურ-თეორიული მომზადების სხვადასხვაგვარი ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ კომკავშირელებს და კავშირგარეშე ახალგაზრდობას დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძვლებს.

ორატორი შეეხო ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მათი ორგანიზაციული განმტკიცებისა და მებრძოლურობის გადიდების საკითხებს.

პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის მდივანმა **დ. გ. აბუთიძემ** ილაპარაკა მუშაობაზე, რომელსაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები ეწევიან თავიანთი რიგების ზრდისათვის, ახალგაზრდა კომუნისტების აღსაზრდელად. სამეგრელოს კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შედიან ზარმოების მუშაკები, რომლებმაც საქმით დაადასტურეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, ხალხისადმი. უკანასკნელ ხუთ თვეში სკკპ წევრად მიღებულია წამყვანი პროფესიის 164 მუშა. ბევრი მათგანი წარმატებით ამაბებს მუშაობას სწავლასთან, ეუფლება ცოდნას უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

ელმავალსამშენებლო, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ, ჩარხსამშენებლო ქარხნებში, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში შექმნილია ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლები, სადაც ისინი იდეურ-პოლიტიკურ დონეს იმაღლებენ.

მაგრამ ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, მაგალითად, თბილისის „ელექტროზოლიტის", სილიკატური აგურის ქარხნებში, წინდის ფაბრიკასა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში მიმდინარე წელს პარტიის რიგებში არც ერთი კაცი არ მიუღიათ. აქ კი ბევრი ღირსეული, მისაბაძი მუშაკია.

ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციები, — თქვა საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ბ. ბარგიევმა,** — ზრუნავენ პარტიული ძალების სწორად განაწილებისათვის, იმისათვის, რომ პარტორგანიზაციათა გარშემო შექმნან ფართო უპარტიო აქტივი, და გააზრებულ მუშაობას ეწევიან მათთან. კარგად არის დაყენებული ეს მუშობა უკანამბრის, ორჯოსანის, დადიანეთის, წინაგრის და სხვა პარტორგანიზაციებში.

უკანამბარის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ყველა კომუნისტი დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში. 20 მათგანი მუშაობს მეცხვარეობაში, 13 მწყემსია. შემთხვევითი არ არის, რომ კოლმეურნეობა მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს.

ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდაში დიდ როლს ასრულებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლა, რომელიც ამ რაიონში შეიქმნა. მის სასწავლო გეგმაში ისეთი საკითხებია, როგორიც არის პარტიული კრება — კომუნისტთა აღზრდის სკოლა, პარტიის წევრობის ლენინური პრინციპი, კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური სწავლების ორგანიზაცია, კადრებთან მუშაობის პრაქტიკა, შესრულების შემოწმება და სხვ.

პლენუმის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის **ნ. შ. ცხაკაიას** გამოსვლა. მან დამსწრეებს გაუზიარა ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის მუშაობის გამოცდილება. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია აღზრდის ნაკად მეთოდებთან ერთად სრულყოფს მათ, ეძებს აღმზრდელობითი მუშაობის ახალ ფორმებს. აქ საზეიმო ვითარებაში გადასცემენ ხოლმე პარტიულ ბილეთებს სკკპ რიგებში მიღებულთ. ზოგიერთ საამქროსა და განყოფილების პარტორგანიზაციებში რეკომენდატორები ანგარიშს აბარებენ თავიანთ სამეურვეო მუშაკებთან მუშაობის შესახებ. ამასთანავე სასტიკ პასუხს სთხოვენ იმათ, ვინც ზოგჯერ რეკომენდაციას აძლევს ულირს მუშაკებს.

საწარმოებში არის ახალგაზრდა კომუნისტების, აგიტატორების, პარტჯგუფორგების სკოლები. საინსტრუმენტო საამქროში შექმნილია კომუნისტური აღზრდის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი. მისი საქმიანობის ძირითადი ნაწილი ინდივიდუალური მუშაობაა. 100-ზე მეტი კომუნისტი — მოწინავე მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ინდივიდუალურ შეფობას უწევენ ახალგაზრდა მუშაკებს.

პარტიული ორგანიზაცია მრავალმხრივ აღმზრდელობითს მუშაობას ეწევა, საამქროებში ნახავთ ლამაზად გაფორმებულ სტენდებს, სადაც მუშაკებს ულოცავენ კომკავშორში შესვლას, დაბადების დღეს, მორიგი თანრიგის მინიჭებას, კვალიფიკაციის ამაღლებას.

ახალციხის რაიონის სახელმწიფო სანერგის პარტიული ორგანიზაცია სკკპ რიგებში შემსვლელთადმი შომთხოვნელობის გადიდებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს XXIII ყრილობის იმ მითითებათა შესრულებას, რომ პარტიის სოციალურ შემადგენლობაში კვლავაც წამყვანი მდგომარეობა ჰქონდეთ წარმოების მუშაკებს. 57 კომუნისტიდან 45 მონაწილეობს მატერიალური დოვლათის შექმნაში. პარტიაში შემსვლელთ მოწინავეთა შორის არჩევენ.

მაგალითად, მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირად ამას წინათ დაწინაურეს სკკპ წევრობის კანდიდატი, საქართველოს სამეცნიერო-საკვლევი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დაუსწრებელი სტუდენტი ბ. კუპრაძე. ფერმას, რომელსაც იგი მეთაურობს, მიეიჩნია სანერგის პროფკავშირული ორგანიზაციის გარდამავალი წითელი დროშა, ფერმის 14 მუშაკს კი კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. ამაზე ილაპარაკა სანერგის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა **ი. კ. კურტანიძემ.**

პარტიაში შემსვლელი მოწინავე და შეგნებული მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების შერჩევაზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ი. ი. ვეგენავამ.** სემინარებზე, თათბირებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთა ერთწლიან სკოლაში წარმოებს პარტიაში მიღებასთან დაკავშირებული მიზანსწრაფული მუშაობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ რიგებში მიღების საკითხების ყოველმხრივ განხილვას პარტიულ კრებებზე. დიდი ყურადღება ეთმობა საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით პარტიული ორგანიზაციების ზრდას. პარტიის რიგებში იღებენ კვალიფიციურ მუშებს, წამყვან სპეციალისტებს. მაგალითად, ნავსადგურის პარტიული ორგანიზაცია იზრდება მეამწეთა და მეტალელვადა ხარჯზე, ჰიდრომექანიზაციის ქარხნის პარტორგანიზაცია — მეკორპუსეთა ხარჯზე და სხვ.

პარტიაში მიღებულთა უმრავლესობამ თავი გამოიჩინა წარმოებასა და საზოგადოებრივ მუშაობაში. პარტიაში მიღებულთა შორის უნდა აღინიშნონ ელექტროზეინკალი გ. ვადაკორია, კომუნისტური შრომის დამკვრელი დ. ლაბარტყავა, ნავსადგურის მუშები, რაციონალიზატორები რ. მახარაძე, ნ. ღურწკაია, ი. ოკლიანსკი, ბ. კილასონია, ვ. ზვერევა, მ. კობალავა, რომლებმაც 20 რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს. ფართოდ ინერგება ამწეების უდამონტაჟოდ შეკეთების მეთოდი, რომელიც ჰიდრომექანიზაციის ქარხნის ოსტატმა ახალგაზრდა კომუნისტმა ა. ზორავამ შეიმუშავა. მისი ინიციატივით ქალაქის საწარმოებში გაჩაღდა ოსტატთა შეჯიბრება ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ფოთი რაგალეროვნი ქალაქია. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას. ისინი ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს: მართავენ მეგობრობის საღამოებს, საუბრებს მრგვალ მაგიდასთან და სხვ.

პარტიის შეკავშირება, იდეური და ორგანიზაციული სიმტკიცის დონე დიდად არის დამოკიდებული მის პირად შემადგენლობაზე, თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ **დ. ვ. ველაშვილმა.** პარტიაში მისაღებთა ყურადღებით, გულდასმით შერჩევა ქმნის პირობებს ჩვენს პარტიულ კოლექტივებში საბრძოლო თვისებების გამომუშავებისათვის, კომუნისტებში პარტიულობის ძალა-ღონის დანერგვისათვის.

ამხ. ველაშვილი შეეხო სკკპ წევრობის შესახებ წესდების მოთხოვნების დაცვის საკითხს. XXIII ყრილობაზე ერთხელ კიდევ და განსაკუთრებული ძალით აღინიშნა, რომ პარტიაში მისაღებთა მკაცრი ინდივიდუალური შერჩევა ყველა პარტორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმიანობის გარდუვალი კანონია. ისინი ერთი წუთითაც არ უნდა ივიწყებდნენ, რომ სკკპ რიგების სიწმინდისათვის ბრძოლა — ეს არის კომუნისტურ მშენებლობაში პარტიის როლის გაზრდისათვის ბრძოლა.

ზუსტად უნდა ვასრულებდეთ **ლენინის** მითითებას იმის შესახებ, რომ საჭიროა მუდამ ვზრუნავდეთ პარტიის რიგების სიწმინდისათვის, პარტიული დისციპლინის გამტკიცებისათვის. ჩვენში ჯერ კიდევ ყველგან როდია შექმნილი წესდების მოთხოვნებისაგან ცალკეულ კომუნისტთა გადახვევებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ვითარება.

ხაშურის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, თქვა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. დ. მაღლაშვილმა,** ახლა უფრო ზრუნავენ ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის. ისინი ამბობენ მათ პარტიული კრებების მომზადებაში, აძლევენ პარტიულ დავალებებს, ეხმარებიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლების დაუფლებაში, საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებაში. ეწყობა სემინარები, რომლებზეც კითხულობენ ლექციებს და აწყობენ საუბრებს სკკპ წესდებისა და პროგრამის შესახებ, შეხვედრებს პარტიის ვეტერანებთან, მოწინავე ადამიანებთან და სხვ.

— ჩვენ მუდამ ვუკვირდებით ანალიზს იმას, თუ როგორ იზრდება სკკპ რიგები, დროულად ვახორციელებთ ღონისძიებებს არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების თავიდან აცილებისათვის, თქვა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. მ. სოორიძემ.** რაიკომის ბიუროს ამას წინათ განიხილა, თუ როგორ მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები სკკპ რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის.

პარტიული რიგების ზრდას დიდ ყურადღებას უთმობენ სოფლების ხუცუბნის, ბობოყვათის, ზენითის, დაგვის, ოჩხამურის პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ორატორმა გაუშუქა ახალგაზრდა კომუნისტების შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობა. რესპუბლიკაში კარგად იცნობენ წარმოების ნოვატორს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს თინა ცეცხლაძეს, სოციალისტური შრომის გმირს ქეთო გოგიტიძეს.

ბევრი ახალგაზრდა კომუნისტი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სახალხო კონტროლის ჯგუფში, არის პროპაგანდისტი, კონსულტანტი, აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, კედლის გაზეთის რედაქტორი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომთან არსებული სკკპ რიგებში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების საკითხების წინასწარი განხილვის შტატგარეშე კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ა. ლოლაძემ** ილაპარაკა კომისიის მუშაობაზე. რაიონის კომუნისტთა რიცხობრივი შემადგენლობა წლითიწლობით იზრდება. მიმდინარე წლის ხუთი თვის მანძილზე სკკპ წევრობის კანდიდატად მიღებულია 139 კაცი. იზრდება ქალთა ხვედრითი წონა პარტიის კანდიდატებად მიღებულთა შემადგენლობაში. მეტმა წილმა ქალებმა საკანდიდატო სტაჟის გავლის პერიოდში თავი გამოიჩინეს როგორც კარგმა მუშაკებმა.

ორატორმა აღნიშნა, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი გამოიტანა საჭირო დასკვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „ხარკოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი" ხშირად სკკპ რიგებში ისეთ კაცებს, რომლებიც პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებები გულდასმით არ არის შემოწმებული.

პარტიის ბოლნისის რაიკომის საქმიანობაში დიდი ადგილი ეთმობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საკითხებს. ამ საკითხებს სისტემატურად განიხილავენ რაიკომის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე. რეგულარულად იწვევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარებს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. ამას წინათ გაიმართა პარტგაუფორგების სემინარი. პარტიის რაიონულ კომიტეტთან მეორე წელია მუშაობს პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა სკოლა. ამაზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. კ. სანიკიძემ.**

რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა, აღნიშნა მან, შეუნელებელ ყურადღებას უთმობს სკკპ რიგებში მიღების საკითხს, ყოველდღიურად მუშაობს კომკავშირელებთან და უპარტიოებთან. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ პარტიაში ქალების მიღებისათვის. 1966 წელს მიღებული 102 პარტიის კანდიდატიდან სულ 12 ქალია, ხოლო მიმდინარე წლის ხუთი თვის მანძილზე 20-დან ხუთი ქალია. ეს ხდება მაშინ, როცა რაიონის მრეწველობაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში ბევრი ქალი მუშაობს, რომლებიც მისაბაძნი არიან შრომაში.

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ა. ვერულაშვილმა** აღნიშნა, რომ პარტიაში მიღებისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია იმისათვის ზრუნვასთან, რომ თვითეული კომუნისტი ღირსეულად ატარებდეს მაღალ წოდებას და ამართლებდეს მას პრაქტიკული საქმეებით. ამ ბოლო ხუთი თვის მანძილზე პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია 78 კაცი, აქედან 40 მუშა წამყვანი პროფესიისაა, მათ შორის არის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. გაჩიჩილაძე. წარმოებაში წარმატებით შრომობენ სკკპ წევრობის კანდიდატები ვ. კელენჯერიძე, ნ. არეკაძე, გ. ვორონჩენკო და სხვები.

პარტიული ჯგუფების სხდომაზე ყოველმხრივ განიხილავენ იმ ამხანაგების კანდიდატურებს, რომლებიც პარტიაში შედიან. პარტიული ჯგუფის აზრს აცნობებენ პარტიულ კრებას. ეს ხელს უწყობს სკკპ რიგებში შემსვლელთა პოლიტიკური და მორალური თვისებების უკეთ შესწავლას.

წარმოების ბევრი მუშაკი ლენინური პარტიის რიგებში შესვლისას გადადებულ ვალდებულებებს კისრულობს.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე კომუნისტთა ავანგარდული როლის შესახებ ილაპარაკა მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანმა **მ. ნ. გვიშიანმა.** მშენებელთა კოლექტივი ახალი შრომითი წარმატებებით ეგებება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. გადაჭარბებით შესრულებულია 5 თვის გეგმა, ახალგაზრდა კომუნისტმა მუშებმა წლის დამდეგიდან 300 ათასი მანეთი დაზოგეს. სკკპ რიგები განსაკუთრებით იზრდება იმ ამხანაგებით, რომლებმაც საქმით დამტკიცეს, რომ მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ პარტიის საქმეს, მისი იდეების განხორციელების საქმეს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა **კ. მ. ბაქრაძემ** აღნიშნა, რომ საწარმოს პარტიულმა კომიტეტმა და საამქროს პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად ამაღლეს მოთხოვნები კომუნისტებისა და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, რომლებიც რეკომენდაციებს აძლევენ მუშებსა და კომკავშირელებს პარტიის რიგებში შესასვლელად.

საამქროს პარტიული ორგანიზაციები კრებებსა და ბიუროს სხდომებზე განიხილავენ პარტიაში მიღების მდგომარეობას, როგორ ასრულებენ კომუნისტები პარტიულ დავალებებს, ისმენენ ინფორმაციებს, როგორ ასრულებენ კომუნისტები წესდების მოთხოვნებს. ეს და სხვა ორგანიზაციულ-პარტიული და ალმზრდელობითი ღონისძიებანი განამტკიცებენ პარტიულ დისციპლინას, ამაღლებენ პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტსა და გავლენას უპარტიო მასებზე.

საიუბილეო წელს პარტიაში მივიღეთ მარტენის საამქროს მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. სებისკვერაძე, მილსაგლინავი საამქროს მვალცავი ა. გელაშვილი, კოქსქიმიური საამქროს მუშა ლ. კიკნაძე, მეფოლადის დამხმარე პ. პაპკინი და წარმოების ბევრი სხვა მუშაკი, რომლებიც შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითებს იძლევიან.

პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს კომუნისტთა განაწილებას საამქროთა გადამწყვეტ უბნებზე. ძირითად საამქროებში მუშაობს 1.700-ზე მეტი კომუნისტი — პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა საერთო რიცხვის 85 პროცენტი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

**განხილულ საკითხზე მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პარტიული შევსებისათვის, ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის ზრუნვის შემდგომი განლიერების საფუძველზე კიდევ უფრო აამაღლონ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, მათი როლი და გავლენა ხუთწლიანი გეგმის, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკის მშრომელების მიერ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXIII ყ

მაღლა გვეჭირაოს პარტიის წევრის წოდება!

(დასასრული)

რდული როლის ამაღლება. მოხსენებაში ეს ითქვა, ახლა კი მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ საკითხების განხილვამ ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე, შემდეგ კი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში, უეჭველია, ხელი შეუწყო მთელი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ახალ აღმავლობას, აამაღლა პარტიული ორგანიზაციების როლი და ბრძოლისუნარიანობა, კიდევ უფრო გაზარდა პარტიის წევრთა ავანგარდული როლი.

მაგრამ ის ფაქტი, რომ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საჭიროდ ცნო მორიგ პლენუმზე ყოველმხრივ განეხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა ამ საქმეს, და რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შევიმუშაოთ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კიდევ უფრო გაუმჯობესდეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის.

უნდა აღინიშნოს, ამხანაგებო, რომ კომათის მონაწილეებმა ბევრი რამ დაუმატეს მოხსენებას, შეიტანეს მთელი რიგი საყურადღებო წინადადებანი, რომლებიც მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

ნება მიბოძეთ შევეხო ზოგიერთ გამოსვლას. მგონია, რომ ყურადღების ღირსია პარტიის სიღნაღისა და გუდაუთის რაიკომების, აგრეთვე ფოთის საქალაქო კომიტეტის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში, რაზეც ილაპარაკეს პარტიის რაიკომების მდივნებმა ამხანაგებმა დ. გელაშვილმა, ს. ალანიამ და საქალაქო კომიტეტის მდივანმა ი. ვეგენავამ. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ახალგაზრდა კომუნისტების იდეური წრთობის ისეთ ღონისძიებათა მნიშვნელობა, როგორიც არის შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, ახალგაზრდობის აღზრდა საბჭოთა ხალხის რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებზე.

სწორად თქვა ამხ. ო. ჩერქეზიამ, რომ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ პარტიაში საუკეთესო კომკავშირელების შერჩევას, გაეუმჯობესოთ ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, განუწყვეტლივ განვამტკიცოთ პარტიული ბირთვი კომკავშირში. ყოველნაირად უნდა ავამაღლოთ კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პარტიაში შემსვლელი ახალგაზრდობის რეკომენდაციისათვის.

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვის სულისკვეთებით ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საკითხებს მიუძღვნეს გამოსვლები პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. აბუთიძემ და პარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანმა ამხ. მარგიევმა, რომლებმაც სწორად აღნიშნეს, რომ ახალგაზრდა კომუნისტები უნდა მივაჩვიოთ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, წესდების მოთხოვნათა ზუსტად დაცვას, პარტიაში შესვლის პირველი დღეებიდანვე პარტიულ დავალებათა შესრულებას.

ჩვენ ყველამ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ დიმიტროვის სახელობის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ცხაკაიას გამოსვლა, რომელმაც ამასთან თავისი სიტყვა დაასურათა თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით. უნდა ითქვას, რომ ამ პარტიულ ორგანიზაციაში ხორციელდება ბევრი საგარგო, სასარგებლო ღონისძიება. მათ შორის უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა კომუნისტების ანგარიში პარტიული კომიტეტის სხდომებზე. ეს უეჭველია პარტიულ ორგანიზაციას ეხმარება უწყობს კონტროლი გაუწიოს იმას, თუ როგორ მუშაობენ, როგორ სწავლობენ ახალგაზრდა კომუნისტები, როგორ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უნდა ითქვას, რომ ასეთსავე ღონისძიებებს ახორციელებენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ზუგდიდის ციტრუსოზაფხულის კომბინატისა და მთელი რიგი სხვა პარტიული ორგანიზაციები.

აქ ამხ. ცხაკაიამ და პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სანიკიძემ აღნიშნეს, თუ რა სარგებლობა მოაქვს სემინარებს, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აწყობს პარტიული მუშაკებისათვის.

ჩვენთვის ამ აზრს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გვინდა ვიცოდეთ, თუ რა შედეგი მოაქვს იმ სემინარებს, თეორიულ კონფერენციებს, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა გამართა ამ ბოლო ხანს პარტიის ობლქომ. კომიტეტების, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების მდივნებისათვის, საორგანიზაციო განყოფილებებისა და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების გამგეებისათვის, ინსტრუქტორებისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის.

ყველა ეს ღონისძიება მოწმობს, რომ პარტიული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება ახლა ჩვენში უფრო ორგანიზებული, სისტემატური ხასიათისა გახდა. ვფიქრობთ კვლავაც განვაგრძოთ ასეთი მუშაობა, ისე მოვიქცეთ, რომ ადგილებზე ამხანაგებმა უფრო უშუალოდ მოჰკიდონ ხელი პარტიული მუშაკების სწავლას.

ვაჯამებთ რა ჩვენი პლენუმის შედეგებს, განვაზოგადებთ ყველა გამოსვლას, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა, რესპუბლიკის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაუმჯობესეს მუშაობა პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

შემდეგი დასკვნა, რომელიც ჩვენი პლენუმის მუშაობიდან გამომდინარეობს, ის არის, რომ სკკპ XXIII ყრილობის მიერ პარტიის წესდებაში შეტანილმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღების, ახალგაზრდა პარტიული ცვლის აღზრდის საქმეში მუშაობის მდგომარეობისათვის. ამ ცვლილებებთან დაკავშირებით გაიზარდა მომთხოვნელობა პარტიაში ახლადმიღებულებისადმი, ეს ცვლილებანი ხელს უწყობენ მათი პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების უფრო ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას, პარტიული დისციპლინის განმტკიცებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიაში მიღებულთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ უფრო მოწინავე და შეგნებული მშრომელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტურ მშენებლობაში. ამას მივაღწიეთ იმის შედეგად, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტად ზრუნავენ პარტიული შევსების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, პარტიაში მიღებისას ლენინური მოთხოვნების ზუსტი დაცვისათვის, იმის შედეგად, რომ ისინი უკეთ ანაწილებენ პარტიულ ძალებს, გააძლიერეს მუშაობა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, გააქტიურეს პარტიული ჯგუფებისა და საამქროთა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, მათ გარშემო დარაზმეს უპარტიოთა. უმთავრესად მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებელთა — მოწინავე პროფესიის მუშათა, მშენებელთა, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო აქტივი.

კიდევ ერთი დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიტანოთ ჩვენი პლენუმიდან, ის არის, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის, ამასთან მუდამ ზრუნავენ, რომ თვითეულმა ახალგაზრდა კომუნისტმა რაც შეიძლება უკეთ აითვისოს და განახორციელოს თავისი საწესდებო მოვალეობანი და უფლებანი, იყოს მისაბაძი სხვებისათვის, კარგად მუშაობდეს წარმოებაში, იმაღლებდეს კვალიფიკაციას, აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ვფიქრობ, ეს დებულებანი, ეს ძირითადი დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ რიგებში ახალგაზრდა კომუნისტების მიღებისა და აღზრდისათვის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობიდან, უნდა დაედოს საფუძვლად ამ პლენუმის დადგენილებას, რომელშიც ამასთანავე უნდა აისახოს ის სერიოზული ნაკლოვანებანიც, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. აღარაფერს ვიტყვი ამ ნაკლოვანებებზე, ისინი საკმაოდ დაწერილებით არის გაშუქებული მოხსენებაში, რომელიც თქვენ მოისმინეთ, მათ შესახებ ილაპარაკეს კამათში გამოსულმა ორატორებმაც.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც ჩვენი პლენუმი შეიმუშავებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რაც შეიძლება სწრაფად და უკეთ განხორციელდეს კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეებად. აი როდის მივაღწევთ წარმატებას ჩვენს მუშაობაში.

საბოლოო სიტყვაში კი ნება მიბოძეთ შევეხო მხოლოდ რამდენიმე, ჩემი აზრით, დიდმნიშვნელოვან საკითხს.

პირველი, რაზეც მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, — ის არის, რომ საჭიროა გავაჩაღოთ შეურიგებელი ბრძოლა პარტიის რიგების სიწმინდისათვის. პარტიაში არ დავუშვათ შემთხვევითი, შეუმოწმებელი პირები, რომლებსაც არაფრით არ გამოუჩენიათ თავი პრაქტიკული მუშაობის დროს. ჩვენში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ფაქტები, როცა პარტიაში უღირსნი შემოდიან. მართალია, ეს ერთეული ფაქტებია, მაგრამ ესეც არ უნდა იყოს, რადგანაც ამასაც მოაქვს ზიანი პარტიისათვის.

პარტიაში ყოფნის ღირსი მხოლოდ ის არის, ვინც უფრთხილდება ამ წოდებას, ვისაც მაღლა უჭირავს და ღირსეულად ატარებს ამ წოდებას მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოგაგონოთ ი. ბ. სტალინის სიტყვები, რომელიც ამბობდა, რომ **არა არის რა იმაზე მაღალი, ვიდრე იმ პარტიის წევრის წოდება, რომლის დამარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი.** და შემდეგ: **ყველა როდია ასეთი პარტიის წევრობის ღირსი.**

ეს ნიშნავს, რომ პარტიაში კარი ყველას კი არ უნდა გავუღოთ, არამედ მხოლოდ განსაკუთრებით ღირსეულთ, ვინც ბოლომდე ერთგულია კომუნისტური პარტიისა, მებრძოლებს, რომლებიც მზად არიან ხალხის საკეთილდღეოდ იშრომონ და გმირობაც ჩაიდინონ. პარტიაში ყოველი ასეთი მებრძოლის მოსვლამ კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი უნდა გახადოს პარტიული ორგანიზაცია, ხელი შეუწყოს მისი რიგების განმტკიცებას, იდეურ და ორგანიზაციულ შეკავშირებას.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ საჭიროა ზუსტად ვიცავდეთ პარტიაში ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ პრინციპს, მტკიცედ ვასრულებდეთ პარტიის წესდებას, პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს. არ უნდა გადავუხვიოთ ცნობილ წესს: ნაკლები იყოს მაგრამ უკეთესი. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაე ჩვენ, კომუნისტები, ნაკლები ვიყოთ, სამაგიეროდ პარტიის რიგების თვისებრივი შემადგენლობა უკეთესი იყოს.

იმათ კი, ვინც არ იცავს წესდების მოთხოვნებს, ვინც არღვევს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, ვინც თავისი უღირსი ქცევით და ცუდი საქციელით სახელს უტეხს, ჩირქს სცხებს კომუნისტის მაღალ წოდებას, პარტიულმა ორგანიზაციებმა მკაცრად უნდა მოსთხოვონ პასუხი, მკაცრად დასჯონ, ახსოვდეთ, რომ პარტია იშორებს იმათ, ვინც არღვევს სკკპ პროგრამასა და წესდებას.

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ აქედან? დასკვნა მხოლოდ ერთია: ზრუნვა პარტიის რიგების სიწმინდისათვის — ნიშნავს მთლიანად აღმოვფხვრათ ფორმალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება პარტიაში მიღებისას, განცხადებათა განხილვის დროს, როცა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ზედმეტ აჩქარებას იჩენს, ოღონდ გაზარდოს პარტიის რიგები, მე ვიტყოდი კამპანიასაც კი აჩაღებს პარტიაში მიღებისათვის, ამასთან ეს ფორმალიზმი მხოლოდ პარტიაში მისაღებად მომზადების დროს კი არა, თვით მიღების დროსაც ვლინდება — პარტიულ კრებაზე, პარტიული ბიუროს თუ პარტიული კომიტეტის სხდომაზე, ან პარტიული ბილეთის გაცემის დროს.

ვფიქრობ, პარტბილეთის მიღება ღირსშესანიშნავი მოვლენაა ყველა იმ ადამიანის ცხოვრებაში, ვინც გადაწყვიტა თავისი სიცოცხლე დაეკავშირებინა პარტიასთან, და ამ მოვლენას უფრო საზეიმო ელფერი უნდა მივცეთ, რომ მან წარუშლელი კვალი დატოვოს და სამუდამოდ დაახსომდეს კაცს.

ამასთან დაკავშირებით კვლავ უნდა მოვიგონო დიდი სამამულო ომის დღეები, როცა ფრონტზე, გაცხარებული ბრძოლის ვითარებაში პარტიული ბილეთის გადაცემა განსაკუთრებით საზეიმო ცერემონიალით ხდებოდა, ახალგაზრდა კომუნისტები კი, პარტიულ ბილეთს რომ იღებდნენ, იჩოქებდნენ და ფიცს დებდნენ, რომ თავს გასწირავდნენ, მაგრამ მტერს მაინც გაანადგურებდნენ!

მეორე საკითხი, რომლის განხილვა საჭიროდ მიმაჩნია, ეს არის ამადლება რეკომენდატორთა პასუხისმგებლობისა მიცემულ დახასიათებათა ობიექტურობისათვის.

ამაზე ვილაპარაკეთ საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობაზე და დღესაც უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენში კიდევ არიან კომუნისტები, რომლებიც პარტიაში შესასვლელად რეკომენდაციების მიცემისას არ იჩენენ ჯეროვან პრინციპულობას, არ უდგებიან ამ საქმეს ჯეროვანი პასუხისმგებლობით. ხომ ყველამ იცის, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიაში მიღების საკითხის გადაწყვეტისას უმთავრესად კომუნისტთა რეკომენდაციებით ხელმძღვანელობს. აი რატომ არ უნდა იწვევდეს არავითარ ეჭვებს რეკომენდატორის ობიექტურობა, პრინციპულობა.

ჩვენი პარტიის წესდებაში ნათქვამია, რომ რეკომენდაციის ავტორები პარტიული ორგანიზაციების წინაშე პასუხს აგებენ რეკომენდებულის პოლიტიკურ, საქმიან და მორალურ თვისებათა დახასიათების ობიექტურობისათვის. ამიტომ სწორად იქცევიან პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც როცა პარტიულ სასჯელს ადებენ კომუნისტს უღირსი საქციელისათვის, ამასთანავე სჯიან იმათაც, ვინც ამ კომუნისტს მისცა რეკომენდაცია პარტიაში შესასვლელად.

მაგალითად, პარტიის ზესტაფონის რაიკომმა, როცა სკკპ რიგებიდან მატყუარობისათვის გარიცხა ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთის კოლმეურნე ნ. შავგულიძე, რომელმაც პარტიაში შესვლისას დამალა, რომ ორჯერ იყო ნასამართლევი და საპატიმროშიც მჯდარა, ამასთანავე პარტიული სასჯელი გამოუტანა იმ კომუნისტებსაც, რომლებმაც რეკომენდაცია მისცეს ნ. შავგულიძეს პარტიაში შესასვლელად. კომუნისტებს ე. ბარბაქაძესა და მ. შავგულიძეს გამოუცხადეს საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, მესამე რეკომენდატორის— მ. ჩხიკვაძის საკითხი კი განსახილველად გადაეცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

მოვიყვანთ მეორე მაგალითს. პარტიის წყალტუბოს რაიკომმა საყვედური გამოუცხადა სკკპ წევრებს ი. ჩიქოვანსა და ნ. კაკაბაძეს, რომლებმაც ჯეროვნად არ შეამოწმეს წყალტუბოს რაიკოოპკავშირის კოოპერაციის დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი დ. ჭაკვეტაძე და პარტიის წევრობის კანდიდატად შესვლის რეკომენდაცია მისცეს. დ. ჭაკვეტაძემ დამალა, რომ 1955 წელს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, სამწლინახევრის შემდეგ კი ამნისტიით გაათავისუფლეს, და მოტყუების გზით შევიდა პარტიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. შავგულიძეცა და დ. ჭაკვეტაძეც ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა კომუნისტები იყვნენ: პირველი პარტიიდან გარიცხეს სკკპ რიგებში მიღებიდან სამი თვის შემდეგ, მეორე კი პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებიდან 10 თვეში.

ერთიც და მეორეც უპატიოსნო, ცბიერი ადამიანები აღმოჩნდნენ. მაგრამ ეს ფაქტები იმასაც მოწმობენ, რომ თვით რეკომენდატორებმა გამოიჩინეს გულგრილობა, უპასუხისმგებლობა, როცა თავდებად დაუდგნენ ადამიანებს, რომლებსაც ხეირიანად არც კი იცნობდნენ. ალბათ სწორედ ამიტომ ხდება ზოგჯერ, რომ პარტიაში შემოდიან ასეთი ადამიანები, და არა თუ კომუნისტები, უპარტიო მასებიც კი გაოცებას გამოთქვამენ, როგორ აღმოჩნდნენ ეს ადამიანები სკკპ რიგებში. ნუთუ პარტიულმა ორგანიზაციამ არ იცის, ვინ არიან ისინი სინამდვილეში? ხომ პირიქით უნდა ყოფილიყო. როცა პარტიაში იღებენ ღირსეულ, მოწინავე ადამიანს, რომელსაც პატივს სცემს მთელი კოლექტივი, ამას მხურვალედ იწონებს ყველა, ვინც იცნობს, მუშაობს მასთან, და თვით ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი პარტიაში მიიღეს, მისი თავდადებული შრომის, საზოგადოებრივი დამსახურების აღიარებად მიაჩნიათ. რაღა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ დროს იზრდება კომუნისტთა, მთელი პარტიული ორგანიზაციის, მთლიანად პარტიის ავტორიტეტი.

რა თქმა უნდა, ფაქტები, რომლებიც აღვნიშნე, შესაძლოა არც იყოს დამახასიათებელი, რადგანაც მეტწილად რეკომენდატორები ყურადღებით ადევნებენ თვალს, თუ როგორ გადიან საკანდიდატო სტაჟს ისინი, ვისაც რეკომენდაციები მისცეს, იხმარებიან პარტიის წევრობისათვის მოსამზადებლად, კითხულობენ, თუ როგორ მუშაობენ, როგორ სწავლობენ, როგორ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებსაც ისინი თავდებად დაუდგნენ, როგორია მათი მორალური სახე.

ეს ასეც უნდა იყოს. კომუნისტი კარგად უნდა იცნობდეს იმ კაცს, რომელსაც რეკომენდაციას აძლევს, უნდა იცნობდეს მას, როგორც მაღალი მორალური პრინციპების, მოწინავე მსოფლმხედველობის ადამიანს.

დაუკვირდით, ამხანაგებო, ამ სიტყვებს: **„რეკომენდაციას ვაძლევ პარტიაში შესასვლელად...“**

რაოდენ ბევრია ნათქვამი ამ სიტყვებით, რა ღრმა აზრი აქვს მათ! და ყოველთვის, როცა კომუნისტი წერს ამ ფრაზას ან წარმოთქვამს პარტიულ კრებაზე, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ამით კისრულობს პასუხისმგებლობას პარტიული რიგების სიწმინდისა და ბრძოლისუნარიანობისათვის.

თავის მხრივ პარტიაში შემსვლელიც მუდამ უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას რეკომენდატორი ამხანაგის წინაშე ყოველი თავისი ნაბიჯისათვის, ყოველი თავისი საქციელისათვის, უნდა ახსოვდეს და პატივს სცემდეს იმათ, ვინც თავდებობა გაუწია, პატივს სცემდეს როგორც თავის დამრიგებლებს, ყურს უგდებდეს მათს აზრს, ეთათბირებოდეს მათ მუშაობისა და ცხოვრების ყველა რთულ საკითხში. აი ასეთი ურთიერთობა რეკომენდატორსა და რეკომენდებულს შორის შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილი საქმიანი და არა ფორმალური ურთიერთობის ნიმუშად, როგორც ეს ზოგჯერ ხდება.

ამ საკითხს მე მსურს დავუკავშირო კიდევ ერთი საკითხი. საქმე ეხება იმას, თუ რამდენად გულმოდგინედ ინახავენ კომუნისტები პარტიულ ბილეთს, რაზეც აგრეთვე თავს იჩენს მათი დამოკიდებულება თავიანთი პარტიული მოვალეობებისადმი, პარტიული ორგანიზაციისადმი, მთლიანად პარტიისადმი. პარტიული ბილეთის დაკარგვას სხვა რამედ ვერ მივიჩნევთ, თუ არა როგორც სრულიად შეუწყნარებელი დაუდევრობის, უდარდელობის გამოვლინებას, კომუნისტის სიფხიზლის მოდუნებას.

უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიული დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევები რამდენადმე შემცირდა, ჩვენში მაინც დიდია ამ შემთხვევათა რიცხვი.

აი ერთ-ერთი მაგალითი. პარტიული ბილეთი, რომელიც ეკუთვნოდა პარტიის წევრს, ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ე. ლორთქიფანიძეს, აღმოაჩინეს თბილისის ერთ-ერთ საფოსტო ყუთში და შემდეგ მიიტანეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამასთან გამოირკვა, რომ პარტიულ ბილეთი [illegible] კომიტეტისა 1965 წლის ოქტომბრიდან საწევრო შესატანის გადახდა. ე. ლორთქიფანიძე პარტბილეთი ჩვენ გავგზავნეთ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში, რომელმაც გაარკვია ეს საქმე. შემოწმებამ ცხადყო, რომ სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ზ. ბახტაძე ყოველთვიურად იღებდა ე. ლორთქიფანიძისაგან საწევრო შესატანს, მაგრამ წელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ეს არ აღუნიშნავს პარტბილეთში და არც კი იცოდა, რა მდგომარეობაში იყო იგი.

პარტიული ბილეთის დაკარგვისათვის ე. ლორთქიფანიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. ამავე დროს დაისაჯა პარტორგანიზაციის მდივანი ზ. ბახტაძე, რომელსაც სასტიკი საყვედური გამოეცხადა იმის გამო, რომ საწევრო შესატანის გადახდისას არ მოითხოვდა წარედგინათ მისთვის პარტიული ბილეთი.

გულმოდგინედ შევინახოთ პარტიული ბილეთი, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მას— ამ წესებით უნდა აღვზარდოთ ყველა კომუნისტი, და უწინარეს ყოვლისა — ახალგაზრდები.

ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდა ჩვენი პლენუმის დღის წესრიგის საკითხის მეორე მხარეა. მასაც ბევრი ადგილი დაეთმო როგორც მოხსენებაში, ისე კამათის მონაწილე ამხანაგების გამოსვლებში.

ამიტომ შევეხები მხოლოდ ერთ საკითხს, და ეს მესამე და **უკანასკნელი საკითხია,** რომელსაც მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. ეს საკითხი შეეხება სასჯელის ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს უნდა მიაჩნდეთ აღზრდის ღონისძიებებად. საკითხავია, რა აღმზრდელობითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს პარტიის წევრზე იმ შემთხვევამ, რომელზეც თავის გამოსვლაში ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დ. გელაშვილმა. როგორ დაუშვა პარტიის თელავის რაიკომმა, რომ მიმდინარე წლის თებერვალსა და მარტში სამჯერ გამოუცხადეს საყვედური სხვადასხვა საბაბით სოფელ აკურის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანს დ. გოჩიაშვილს, ამასთან ორი საყვედური გამოუცხადეს ბიუროს ერთსა და იმავე სხდომაზე.

ცნობილია აგრეთვე მეორე შემთხვევა, რომელიც ტყიბულში მოხდა. იქ თურმე არის კომუნისტი, მართალია არცთუ ახალგაზრდა, რომელსაც ბოლო დრომდე ჰქონდა 10 პარტიული სასჯელი, მათგან ორი მას მოხსნეს მხოლოდ ახლა, რვა კი ისევ ძალაშია.

ისმება კითხვა, რა აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ასეთ სასჯელებს? შეუძლია თუ არა კაცს ასეთ პირობებში შეიგნოს თავისი დანაშაული, ან თავისი შეცდომა, ხელს შეუწყობს თუ არა ეს მის გამოსწორებას? სასჯელის ღონისძიებას მხოლოდ მაშინ ენიჭება აღმზრდელობითი ძალა, ზემოქმედების ძალა, როცა სასჯელი სამართლიანია, ობიექტურია. დამნაშავემ უნდა შეიგნოს, რომ დაიმსახურა სასჯელი, — და მხოლოდ მაშინ შეეცდება გამოსწორდეს.

ასეთია, ამხანაგებო, საკითხები, რომლებზეც მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ ერთიან, მეგობრულ მრავალეროვან ოჯახად შეკავშირებული საქართველოს მშრომელნი მომდინარე, საიუბილეო წელს განსაკუთრებული შთაგონებით და ენერგიით, განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ, რათა სახელოვანი წლისთავი აღნიშნონ ახალი წარმატებებით ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ღირსეული წვლილი შეტანონ კომუნიზმის მშენებლობაში. და ეჭვი არ არის, რომ ეს წელი აღინიშნება რესპუბლიკის მშრომელთა ახალი შესანიშნავი მიღწევებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ამის საწინდარია ის გრძნობა, რომლითაც ახლა გამსჭვალულია ყოველი თქვენგანი, — სურვილი, რომ მიაღწიოთ საყოველთაო აღმავლობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თქვენი მზადყოფნა მუდამ ეხმარებოდეთ, მხურვალე მისწრაფება ხელს უწყობდეთ ამხანაგს შრომაში.

და ამაში, ისე როგორც ყველაფერში, მაგალითს უჩვენებენ კომუნისტები, რომლებიც გამუდმებით წინ მიდიან!

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში, გააუმჯობესებენ პარტიაში ახალი შევსების მიღებისათვის წარმოებულ მუშაობას, იხელმძღვანელებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძით და კიდევ უფრო მაღლა ასწევენ პარტიის წევრის წოდებასა და მნიშვნელობას. (საქდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

უ ტანის ნერილი

ნიუ-იორკი, 15 ივნისი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმოადგენელმა განაცხადა, რომ უ ტანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულ მუდმივ მისიებს დუდუგზავნა წერილი, რომელშიც, ითხოვს ეცნობინებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პასუხისმგებლობას ასამბლეის პროცედურის წესების შესაბამისად, მათ ყურადღებას მიაპყრობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის 13 ივნისის წერილს იმის შესახებ, რომ მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური საგანგებო სესია.

გენერალური მდივანი სთხოვს მუდმივ წარმომადგენლებს შეეკითხონ მათ მთავრობებს, ეთანხმებიან თუ არა ამ თხოვნას.

სანამ შეწყვეტილია ცეცხლი

ამანი, 14 ივნისი. (საქდესი). იორდანიის მთავრობამ შეატყობინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი კვლავ ძალით აიძულებენ იორდანიის იმ დასავლეთი პროვინციების მცხოვრებლებს, რომლებიც ისრაელის ჯარებმა დაიპყრეს, დატოვონ თავიანთი სახლები და მიწა და გადასახლდნენ აღმოსავლეთ რაიონებში.

წინასწარი მონაცემებით, დასავლეთ პროვინციებიდან ლტოლვილთა რიცხვმა უკვე 150.000-ს მიაღწია.

ბეირუთი, 15 ივნისი. (საქდესი). ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ნასიბ ბარბირის გადაწყვეტილებით ლიბანის ყველა სახელმწიფო საავადმყოფო და ჰოსპიტალი გადაცემულია სირიისა და იორდანიის მთავრობათა განკარგულებაში ისრაელის აგრესიის მსხვერპლთათვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

დამასკი, 15 ივნისი. (საქდესი). სირიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ დამასკში დაიხურა ამერიკის კულტურული ცენტრი და დასავლეთ გერმანიის კულტურული ინსტიტუტი.

ერთმანეთს შეხვდნენ ჩინეთისა და ამერიკის ელჩები

ვარშავა, 15 ივნისი. (საქდესი). გუშინ აქ 133-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვან გო-ციუანი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ა. გრონუსკი. როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, შეხვედრა 3 საათსა და 10 წუთს გაგრძელდა.

შემდეგი შეხვედრა დანიშნულია 8 ნოემბერს.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 15 ივნისი. საქდესის კორესპონდენტები ლ. ველიჩანსკი და ი. აბლამოვი იუწყებიან: უშიშროების საბჭოში სხდომის ბოლოს კენჭი უყარეს შემოტანილ რეზოლუციებს.

პირველად ცალ-ცალკე პუნქტებრივად კენჭი უყარეს საბჭოს რეზოლუციას. პირველ პუნქტს, რომელიც გმობს ისრაელის აგრესიას, ხმა მისცა ოთხმა დელეგაციამ (სსრ კავშირმა, ბულგარეთმა, მალიმ, ინდოეთმა). თერთმეტმა დელეგაციამ (ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, კანადამ, საფრანგეთმა, არგენტინამ, ბრაზილიამ, ჩანკაიშელმა, იაპონიამ, ეთიოპიამ, დანიამ, ნიგერიამ) თავი შეიკავა.

მეორე პუნქტს, რომელიც მოითხოვს, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ და რაიმე პირობის დაუთქმელად, გაიყვანოს ჯარები, ხმა მისცა ექვსმა დელეგაციამ (სსრ კავშირმა, ბულგარეთმა, ნიგერიამ, მალიმ, ეთიოპიამ, ინდოეთმა), ცხრა დელეგაციამ თავი შეიკავა. არც ერთი ამ პუნქტის გამო წინააღმდეგ არავის მიუცია ხმა. რამდენადაც საბჭოთა პროექტმა ვერ შეაგროვა ხმის საჭირო უმრავლესობა (ცხრა), იგი არ მიუღიათ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ელ-კუნმ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ, არ დაგმო რა ისრაელის აგრესია და არ მოითხოვა ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა, არ შეასრულა თავისი მოვ

• მშობლიური პეიზაჟები •

გზა რიწის ტბისაკენ.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მრავლისმეტყველი ფინიში

დამთავრდა საქართველოს საუნივერსიტეტო სპარტაკიადა

IV სპარტაკიადა 1961 წ.

მართლაც რომ უჩვეულო პაექრობის მოწმენი ვიყავით. ეს იგრძნობოდა არა ცალკეულ ასპარეზობებზე, არამედ სპარტაკიადის რომელიც განვლავთ სახეობაში. რა თქმა უნდა, სპორტსმენთა ეს ფორუმი გამოირჩეოდა ადრინდელი შეხვედრებისაგან, როგორც მასობრივობით და შეჯიბრების ორგანიზაციით, ისე შედეგებითაც. სპარტაკიადის დღეებში არაერთი რეკორდი დაიბადა, რომლებიც რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის იყო. სპორტსმენთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აჩვენა ოსტატის ნორმა.

გვახარებს ახალგაზრდა სპორტსმენთა წარმატებები, მათი დოსტატება. ზოგიერთი მათგანი ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატია. სწორედ ასეთი პერსპექტიული სპორტსმენებისაგან არის დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები გუნდები, რომლებიც შეკრების გავლის შემდეგ მოსკოვს ეწვევიან და აქ მონაწილეობას მიიღებენ სპორტსმენთა საიუბილეო ზეიმში — სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში.

რესპუბლიკურ სპარტაკიადას ფინიში გუშინ ჰქონდა. მეტ წილ სახეობებში დასკვნითი შეხვედრები წინადღით შედგა და ჩემპიონებიც გამოვლინდა. აქ ჩამოვთვლით მძლეოსანთა ასპარეზობის ზოგიერთ შეხვედრებში გამარჯვებულებს. **პაქეები** — სამმაგ ხტომაში — **ლ. დარახველიძე** (თბილისი, 15 მეტრი და 63 სანტიმეტრი), 400 მეტრზე თარჯრბენში — **ო. კოგბრიკი** (თბილისი, 54,7 წამი). 1.500 მეტრზე რბენაში — **ი. ლოგუნოვი** (თბილისი, 3 წუთი და 57,3 წამი).

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე ამოიწურა კალათბურთელთა გუნდების ოთხდღიანი ტურნირი. ჩემპიონების საკითხი ფაქტიურად თავიდანვე იყო გადაწყვეტილი. თბილისელებს არ ჰყავდათ ძლიერი მეტოქეები და შეხვედრებსაც ადვილად იგებდნენ. ძირითადი ბრძოლა მომდევნო ადგილებისათვის მიმდინარეობდა, სადაც მთავარი პრეტენდენტები იყვნენ ქუთაისის, რუსთავისა და აჭარის ვაჟთა, აგრეთვე აჭარის, აფხაზეთისა და რუსთავის ქალთა გუნდები. ფინალში თბილისის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა დაამარცხეს აჭარის ქალთა და ქუთაისის ვაჟთა გუნდები 76:36, 110:50 და სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ. აჭარიხა და ქუთაისის გუნდები მეორე საპრიზო ადგილით დაკმაყოფილდნენ.

სასახარულოა, რომ ძალოსნებს, მძლეოსნებსა და ზოგიერთ სხვა სახეობათა წარმომადგენლებს, რომლებსაც სპარტაკიადაზე გარკვეული წარმატებები ჰქონდათ, ჩვენი მეტენდერეებიც შეუერთდნენ. აქ ქების ღირსნი არიან **ი. საბანელიძე** და **ბ. ქელეხი**, რომლებმაც საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარეს — პირველმა სატრანზეო სროლაში (300-დან 293 ქულა), მეორემ — მრგვალ სტენდზე სროლაში (200-დან 196 ქულა).

როგორია საერთო გუნდური მაჩვენებლები? ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა ათივე ფინალისტის შედეგები 24 სახეობის მიხედვით. აქედან ჩათვლაში შედის 18 სახეობა (არჩევით). ამას უნდა მიემატოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ნაჩვენები შედეგები.

აი როგორ გამოიყურება ეს ცხრილი:

პირველ ადგილზეა თბილისის სპორტსმენთა კოლექტივი — 366 ქულა. მეორეზე — ქუთაისის გუნდი — 311 ქულა, მესამეზე — აფხაზეთის გუნდი — 303 ქულა, მეოთხეზე—აჭარის გუნდი — 302 ქულა, მეხუთეზე—რუსთავის გუნდი — 232,5 ქულა, მეექვსეზე — ფოთის გუნდი — 200,5 ქულა, მეშვიდეზე — სამგორეთ ოსეთის გუნდი — 142,5 ქულა, მერვეზე—გორის გუნდი — 133,5 ქულა, მეცხრეზე — ტყიბულის გუნდი — 95,5 ქულა, მეათეზე — ჭიათურის გუნდი — 58,5 ქულა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ალამი დაუშვეს, მაგრამ წინ არის მეტად მნიშვნელოვანი, თავისი მასშტაბით გრანდიოზული შეხვედრები მოსკოვში, ლენინგრადში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, სადაც უნდა გადაწყდეს სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის პრიზების ბედი. ვიმედოვნებთ ამ სპარეზობაზე საქართველოს სპორტსმენები კვლავ გვახახელებენ, წარმატებით დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

ნ. ხიმშიაშვილი,
ვ. გიაძე.

დასანანი ფრე

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:2 (2:0). ქუთაისი. 15 ივნისი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი პ. ბაზაკოვი (მოსკოვი).

„ტორპედო“ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ძოძუაშვილი, წვერავა, ერქომაიშვილი, ასტაშვილი, ძაძამია, ვეკუა, ჭითანავა; „შახტიორი“ — გოგოროვი, სტროკინი, გრიგორიევი, სალკოვი, გუბჩი, გრუბჩაკი, სტანკოვიჩუსი, ბარდეშინი, ევსეენკო (პილიპჩუკი), ლობანოვსკი, ბაზილევიჩი.

სწორედ რომ დასანანი იყო ქუთაისის ტორპედოელთათვის ორე ამ მატჩში, რომლის პირველი ნახევარი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და 2:0 დამთავრდა. ქუთაისელებმა თავიდანვე კარგად ააწყვეს თამაში, რასაც მალე შედეგიც მოჰყვა. ერთ-ერთი შეტევისას უხერხი თამაშისათვის სტუმრები დაჯარიმდნენ. 11-მეტრიანი დარტყმა კარგად გამოიყენა **ერქომაიშვილმა** და მე-18 წუთზე ანგარიში გახსნა. ტორპედოელთა შეტევა არ დამცხრალა. მათი ლამაზად გათამაშებული კომბინაცია 22-ე წუთზე **ჭითანავამ** გოლით დაგვირგვინა.

მეორე ტაიმში ტორპედოელებმა დაცვითი ვარიანტი ამჯობინეს, რასაც სასურველი შედეგი როდი მოჰყოლია. 55-ე წუთზე ქუთაისელთა მეკარე მეტისმეტად წინ გამოვიდა, კარი ღიად დატოვა და **ლობანოვსკიმ** ერთი ბურთი გაქვითა, ხოლო თამაშის 74-ე წუთზე ტორპედოელთა კართან შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლეს დონეცკელებმა და ანგარიში გათანაბრეს — 2:2. ამის შემდეგ ბურთი არ გაუტანიათ. საბოლოოდ ფრე — 2:2.

დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს სტუმრებმა. 2:0.

შ. ჯავახაძე.

მატჩები და შედეგები

გუშინ მოსკოვსა და კუიბიშევში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის კიდევ 3 მატჩი.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი მოსკოვის „დინამო“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა ტაშკენტის „პახტაკორთან“ და გაიმარჯვა 4:0.

მოსკოვში „ტორპედოსაც“ საკუთარ მოედანზე ჰქონდა მატჩი. ამჯერად მისი მეტოქე იყო ბაქოს „ნეფტიანიკი“. შეხვედრის შედეგია 3:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

კუიბიშევში თამაშობდნენ „კრილია სოვეტოვისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. მატჩი დამთავრდა კუიბიშეველთა გამარჯვებით 4:0.

უკანასკნელი ტურის წინ

14 ივნისს შედგა მოსკოვის მოჰადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის უკანასკნელისწინა მეთექვსმეტე ტური. ყურადღების ცენტრში იყო სსრ კავშირის ჩემპიონის **შტეინისა** და **ულმანის** პარტია. **შტეინი** მოქმედებდა ინიციატივიანად, შემტევ სტილში და 23-ე სვლაზე წარმატებას მიაღწია. ეფექტური გამარჯვება მოიპოვა **ტალმა ბრონშტეინთან. სმისლოვმა** დაამარცხა **პორტაში. ბობოცოვ-პახმანის, სპასკი-ვლადიჩის, ბილეკ-პეტროსიანის, გეორგიუ-კერესის, გიასლის-გელერისა** და **ნაიდორფ-ფილიპის** პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ა. გიასლისმა 9,5 ქულა შეაგროვა და შეასრულა საერთაშორისო გროსმაისტერის ნორმა.

უკანასკნელი ტურის წინ, რომელიც 16 ივნისს შედგება, ლიდერია **ლ. შტეინი**, რომელსაც 10,5 ქულა აქვს. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩებიან **მ. ბობოცოვი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი** და **ა. გიასლისი. დ. ბრონშტეინს, ლ. პორტაშსა** და **ბ. სპასკის** ცხრა-ცხრა ქულა აქვთ.

დღეს გაიმართება უკანასკნელი ტური.

დაკარგული ქულა

„დინამო“ (თბილისი) — სკა (დონის როსტოვი) 1:1 (0:1). თბილისი. 15 ივნისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი ე. ხიბარმსი (ტალინი).

„დინამო“ — კოტრიკაძე. რეხვიაშვილი, ჭელიძე. ხუციელავა, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, კუტუბაძე, ასათიანი (დათუნაშვილი). მეტრეველი, ნოდია. მესხი; სკა — ბოიჩენკო, გეტმანოვი, აფონინი, კაზაჩეკი, კრიკუბოროდოვი, შიკუნოვი. ჩერტკოვი. კუჩინსკასი, სოტაევი (დემენტიევი), ესკოვი, მატვეევი.

დიდ ფეხბურთში ორკვირიანი „არდადეგები“ ამოიწურა, კვლავ განახლდა ბრძოლა. გასულ სეზონშიც ჰქონდათ გუნდებს შესვენება. მაგრამ ზოგიერთისათვის, მათ შორის თბილისის დინამოსათვის, მას დიდი სარგებლობა არ მოუტანია.

წელსაც იგივე განმეორდა.

დინამოელებს ანგარიში პირველ წუთებიდანვე უნდა გაეხსნათ, მაგრამ არ ჩანდა დამაკვირვებელი დარტყმები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არმიელთა დაცვა მოქმედებდა ჩინებულად. განსაკუთრებით ეფექტური იყო მე-17 წუთზე ნოდიასა და მესხის კომბინაცია, ბურთი მხოლოდ ოდნავ აცდა კარს.

ყველას ეგონა, რომ თბილისელები სადაც არის წარმატებას იზიმებენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბურთი დინამოელთა კარში აღმოჩნდა. გოლის ავტორი იყო მსაკუნი. მცველებმა, მათ შორის ხუციელავამ, ამ დღეს ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

პირველი გოლის შემდეგ სტუმრებმა ტაქტიკა შეცვალეს — გაძლიერებულ დაცვაზე გადავიდნენ. ეს ტაქტიკა არც თუ მცდარი გამოდგა. ერთი ბურთის უპირატესობა მათ პირველ ტაიმში შეინარჩუნეს.

შეუპოვარი ბრძოლა არც მეორე ნახევარში დამცხრალა. 55-ე წუთზე მესხის ძლიერი დარტყმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბურთი ხელიდან გაუვარდა. ამას მოჰყვა ჯერ ნოდიას, შემდეგ მეტრეველის, ბოლოს გ. სიჭინავას ნაცვალ. ნაოამწყვეტი დარტყმა და გოლი. წინააღმდეგობა ალსდგა — 1:1.

მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეს რაკურსიერებმა ინიციატივაზე და შეიძლება თქვა, ამ ნაბიჯებიც. მათ მოედანზე ყოველთვის გააჩნდათ თითო ან ორი თავისუფალი მოთამაშე, რომლებიც ყოველთვის სამში იყვნენ.

68-ე წუთზე თბილისელებმა არმიელთა კარი მეორედ აიღეს, მაგრამ გოლი არ ჩათვალეს. რასაკვირველია, მსაჯი მოედანზე უფლებამოსილია და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა რატომ მაშინ აღნიშნა, როდესაც ბურთი ბადეში გაეხვია და არა ადრე?

ბოლო წუთებში ორივე კარი არაერთხელ იყო საფრთხეში, ანგარიში კი უცვლელი დარჩა — ფრე 1:1.

დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს სტუმრებმა 3:1.

ვ. გაბელია.

გაფრთხილება „კომუნისტის“ მკითხველებს!

ყოველ-ოთხ-ოთ

ეკვირვასო მეგობრებო! მოგვაგონებთ, რომ გაზეთ „კომუნისტზე ხელმოწერა 1967 წლის მეორე ნახევრისათვის გრძელდება. ხელმოწერა მიიღება შეუზღუდველად.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

„ალამი დაუშვეს“

გუშინ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში საზეიმოდ დაიხურა საქართველოს მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადა.

შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდა სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანსაძე, რომელმაც ილაპარაკა ასპარეზობის შედეგებზე. მან აღნიშნა, რომ სპარტაკიადაზე დაამყარეს ხუთი რესპუბლიკური, მათ შორის ერთი საკავშირო რეკორდი. საქართველოს სპორტსმენთა მრავალათასიან არმიას ახალი სპორტის ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები და თანრიგოსნები შეემატნენ.

სპარტაკიადის გამარჯვებულებს — თბილისის, ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდებს საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი თასები და რესპუბლიკის სპორტკავშირის სიგელები. პრიზიორები დაჯილდოვეს აგრეთვე საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სიგელით. მათთან ერთად ჯილდოები გადაეცათ მოსწავლეთა, ფიზკულტურულ და საწარმოთა კოლექტივებს შორის გამარჯვებულებს.

სპარტაკიადის ალამი საზეიმოდ დაუშვეს.

სპარტაკიადის დახურვის შემდეგ საქართველოს სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარემ ბ. სხსრულიძემ დამსწრეთ აცნობა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტკავშირი მერვედ დაჯილდოვეს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.

ულამაზესი ადგილი

გზა რიწის ტბისაკენ.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

უჩვენებს გერმანიის დემოკრატიული

რესპუბლიკა

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საგამოფენო პავილიონი დაეთმო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციას „დოიჩერ ინენ-უნდ აუსენხანდელ ჰენლის“. აქ მოეწყო სახალხო საწარმოების „ლაიპტაჰენის“ გაერთიანების წარმოების კოსმეტიკური საშუალებისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმის გამოფენა.

ამ საწარმოთა პროდუქცია განთქმულია მსოფლიოში. დემონსტრირებულია ძირითადად საექსპორტო საგნები. ექსპონატების მეტი წილი იმ პროდუქციის ნიმუშებია, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აწვდის საბჭოთა კავშირს.

სტენდებზეა 200-ზე მეტი კოსმეტიკური საშუალება და საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმი, რომლებიც შექმნილია ქიმიკოსების, დერმატოლოგების, კოსმეტოლოგების შემოქმედებითი თანამეგობრობით. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კოსმეტიკის სხვადასხვაგვარი ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატები, ყოველგვარი აეროზოლური ნაწარმი, თანამედროვე სწრაფადმოქმედი სარეცხი საშუალებანი, იატაკების პასტები და სხვ.

გერმანელი ქიმიკოსებისა და კოსმეტოლოგების წარმატებებზე ესაუბრნენ 15 ივნისს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების კორესპონდენტებს გამოფენის დირექტორი ლილი კანტმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსუბუქი ქიმიის გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე დოქტორი ვაისფლუგი.

16 ივნისს გაიმართება გამოფენის გახსნის ოფიციალური ცერემონია.

(საქდესი).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქ. თბილისის

მე-4 საშუალო სანსწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-1968 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის I და II კურსებზე

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს. ფერშლის, მედდის და სანიტარული ფერშლის სპეციალობებით.

1. I კურსზე საფერშლო და სანიტარულ-საფერშლო სპეციალობით მიიღებიან **არასრული** საშუალო სკოლის **კურსდამთავრებულნი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც აბარებენ მასალებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:** 1. ქართულ ენაში (წერა), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი). არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით, სასწავლებელში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი და 6 თვეა.

2. II კურსზე საფერშლო და სანიტარულ-საფერშლო სპეციალობით მიიღებიან **სრული** საშუალო სკოლის **კურსდამთავრებულნი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც აბარებენ მასალებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:** 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი), 3. ქიმია (ზეპირი). საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მედალოსნები სასწავლებელში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვეა.

3. II კურსზე მედდის სპეციალობით (საღამოს დასწრებული) მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ასაკის მიუხედავად, **რომლებიც მუშაობენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საშუალო სამედიცინო პერსონალის ერთ-ერთ რომელიმე თანამდებობაზე:** (ფერშლის, მეანის, მედდის, სანიტარისა და მომვლელისა). მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა-თხზულება), 2. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი), 3. ქიმიაში (ზეპირი). საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მედალოსნები სასწავლებელში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვეა.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შეაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების საბუთი (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ. 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ. სამედიცინო ან მონათესავე დაწესებულებებში პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელის მიერ. 6. პირადად წარმოდგენილი უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულთათვის), მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

საღამოს დასწრებულზე შემომსვლელი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს ცნობა და ამონაწერი შრომის წიგნაკიდან სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობის შესახებ, შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიღებულ იქნება როგორც მისაღები გამოცდების შედეგები, ისე განათლების დოკუმენტში ნაჩვენები ნიშნების საშუალოარითმეტიკული ნიშანი.

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს და აქვთ სამედიცინო ან მონათესავე დაწესებულებებში მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი, დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით.

მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ სასწავლებელში მუშაობის სტაჟით ჩარიცხული პირები ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის დედანი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები არსებული წესის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 31 ივლისამდე, დღის 2 საათიდან 4 საათამდე.

მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს. მეცადინეობა იწარმოებს საღამოს 5 საათსა და 30 წუთიდან.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 25, ტელეფონი 9-54-85.

ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმი

აცხადებს კოოპერაციულ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მოსწავლეთა მიღებას 1967-1968 სასწავლო წლისათვის

საბავშვო და კულინარიულ განყოფილებებზე

სავაჭრო განყოფილება ამზადებს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სავაჭრო საწარმოთა გამგე-გამყიდველებს, ხოლო **კულინარიული განყოფილება** — საზეიმოების მუშაკებს (ბარეულ-კონდიტრებს).

სასწავლებელში მიიღებიან 17 წლიდან 30 წლამდე ასაკის პირები, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო განათლება.

სავაჭრო განყოფილებაზე მიიღებიან მხოლოდ ის პირები, რომლებსაც აქვთ მუშაობის სულ მცირე ერთი წლის საერთო სტაჟი, ხოლო **კულინარიულ განყოფილებაზე** — სტაჟის არ მქონე პირებიც.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება საერთო და უწყვეტ შრომის სტაჟში.

სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ: ვაჭრობის და საზეიმოების მუშაკებს, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულთ და ქალებს.

სწავლა ქართულ ენაზე იქნება.

განცხადებები მიიღება 1967 წლის 10 აგვისტომდე.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე არჩეული განყოფილების ზუსტად აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. რაიკოოპკავშირის (რაიკოოპერატივის) მიელინება. 2. ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, 3. დახასიათება. ა) იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ მუშაობის სტაჟი — უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ბ) ვისაც არა აქვს მუშაობის სტაჟი, კომკავშირის რაიკომიდან ან სხვა ორგანიზაციიდან (კოლმეურნეობიდან, საბჭოდან, სკოლიდან და სხვ.), 4. განათლების მოწმობა (დედანი), 5. დაბადების მოწმობა (ნოტარიულად დამოწმებული პირი), 6. ავტობიოგრაფია, 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 8. ოთხი ფოტოსურათი 3×4 სმ. (გადაღებული უქუდოდ), 9. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (უნდა წარადგინონ პირადად).

სწავლის ხანგრძლივობაა: სავაჭრო **განყოფილებაზე** — 1 წელი, **კულინარიულზე** — 2 წელი, **ჩარიცხვა მოხდება** არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გასაუბრების შედეგებისა და ატესტატის კონკურსის საფუძველზე.

გასაუბრება — 10-დან 20 აგვისტომდე.

სასწავლებელში ჩარიცხულთ მიეცემათ სტიპენდია.

სასწავლებელში ჩარიცხულთ ბინის დასაქირავებლად მიეცემათ თვეში 3 მანეთი (აგრეთვე საპენსიოროს შემთხვევაში საწოლის მოწყობილობა) და უზრუნველყოფილი იქნებიან სასადილოს მომსახურებით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, №46. ტელეფონები № 7-24-22 7-17-12.

ცეკავშირის ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას დაუსწრებელი განყოფილების I და III კურსებზე საქონელმცოდნეობისა და საბუხჯალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე 1967-1968 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი, მიუხედავად ასაკისა, ძირითადად სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები, რაიკავშირისა და რაიკოოპერატივის მოვლინებით.

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, და აბარებენ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამით შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

მესამე კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, და აბარებენ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამით შემდეგ საგნებში:

ა) **საბუხგალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე** 1. ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი),

ბ) **საქონელმცოდნეობის სპეციალობაზე** 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი), 3. ქიმიაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) აბიტურიენტები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ქების სიგელით (ფრიადოსნები), ან საშუალო სკოლა — ოქროსა და ვერცხლის მედლით, ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები და ზეძსახურები, რომლებიც დათხოვილი არიან სამსახურიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან დემობილიზაციის გამო (დემობილიზაციიდან ორი წლის განმავლობაში).

მისაღებ გამოცდებზე დადებითი ნიშნების მიღების შემთხვევაში, კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან: ა) სამამულო ომის მონაწილენი, ბ) წარმოებიდან მოვლინებულნი, რომლებსაც აქვთ მუშაობის 2 წლის სტაჟი არჩეული ან მონათესავე სპეციალობის მიხედვით. გ) საბჭოთა არმიიდან ან სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, რომლებმაც სამხედრო სამსახურში შეიძინეს არჩეული სპეციალობის მონათესავე სპეციალობა.

სწავლება ქართულ ენაზეა, სწავლის ხანგრძლივობა პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის 4 წელია, მესამე კურსზე ჩარიცხულთათვის — 2 წელი.

განცხადებები მიიღება 1 იულისამდე. **მისაღები გამოცდები იწყებოდეს** 1 იულიდან 20 იულისამდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე, არჩეული სპეციალობის აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი). 2. მოვლინება რაიკოოპკავშირიდან ან რაიკოოპერატივიდან, 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელის მიერ. 4. ავტობიოგრაფია. 5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286) სამი ფოტოსურათი უქუდოდ (ზომით 3×4 სმ).

გამოცდებზე დაშვებულთ ეძლევათ 10 დღის შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად.

ტექნიკუმის მისამართი: ქ. ქუთაისი, გორის ქ. № 140., ტელეფონი № 44-49.

თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის პირველ და მეორე კურსებზე.

პირველ კურსზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, ხოლო მეორე კურსზე — სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოს ტოპოგრაფებს და გეოდეზისტებს სპეციალიზებული და საინჟინრო-საკვლევი ორგანიზაციებისათვის.

რაიონებიდან ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სწავლების ვადაა 8 კლასის ბაზაზე 3,5 წელი, 10 კლ. ბაზაზე 2,5 წელი.

განცხადებების მიღება 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. მიღების პირობები საერთოა ყველა ტექნიკუმისათვის.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 25. ტელეფონი: 22-30-33.

რა ვიცოდეთ, რა ვიკითხოთ

ტელევიზია

16 ივნისი

09.30 — კინონარკვევები, 10.00 —მხატვრული ფილმი „ბავშვობის მოგზმისა ვარ“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.15 — ყველაზე პატარებისათვის „ჩვენი ბაღი“, 18.45 — განცხადებები, 18.50 — ისინი შენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“, ალელ ენუქიძე, 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — „მუსიკალური აღზრდის კერა“ — თბილისის საობერო სტუდია, 20.05 — კინონარკვევი, 20.15 — სტუდიაში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ილია ვეკუა, 20.35 — გადაცემა „ქართული ორატორული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ნიკოლოზ კანდელაკი“, 21.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.20 — მხატვრული ფილმი „სამი ბღენძი“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა, 23.00 — ეთერშია ახალგაზრდობა „ჰორიზონტი“ (გადმოცემა ლენინგრადიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 17 ს. 45 წ.

17 ივნისი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენის ეკრანი“, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — კონცერტი, 18.00 — კინონარკვევი, 18.20 — გადაცემა — „ახალი დროის არგონავტი“ — გრიგოლ გეგეჭკორი, 18.35 — კინონარკვევი, 18.55 — გადაცემა — „მეგობრობის საღამოები“, 19.25 — კინონარკვევი, 19.45 — „სახალხო კონტროლის ეკრ